სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები

Sapari / საფარი
UN JOINT PROGAMME FOR GENDER EQUALITY
მკვლევარი Sverige
UNDP

სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები

სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიში

ავტორი: გიორგი ურჩუხიშვილი

ანგარიში გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

საფარი
თბილისი, 2020

შინაარსი

შესავალი *3*

სექსისტური სიძულვილის ენა ქალი პოლიტიკოსების მიმართ *4*

კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია *5*

ქართული სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები *6*

ევროპულ ინდიკატორებთან თანხვედრაში მყოფი ინდიკატორები **7**

ბოზობით შერცხვენა/Slut-shaming 7

სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება 8

სხეულის ნიადაგზე შერცხვენა (ვიზუალური რეპრეზენტაცია) 9

ხმის ტემბრი 10

ემოციური საუბარი 11

ეიჯიზმი 11

პოზიტიური სექსიზმი - ყალბი კომპლიმენტები 12

დანებების წახალისება 14

შარჟი, ხუმრობები, ქორაობა 14

მხოლოდ ქართული სივრცისთვის დამახასიათებელი ინდიკატორები **15**

გამოცდილებასა და პრინციპულობის ნაკლებობაზე მითითება 15

სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით 15

ქალის გენდერული როლი 16

საყვედურები ოჯახსა და დედობაზე 17

„კაცური“ ქცევის მქონე ქალი პოლიტიკოსის სიძულვილი 18

„კაცის დანამატი“ 20

„ფულზე გაყიდულობა“ 21

უმცირესობების უფლებების დამცველი ქალი პოლტიკოსების ჩაგვრა 21

„ცუდი ქართველობა“ 22

შეჯამება *23*

სიძულვილის ენის ფორმების, ქვეკატეგორიებისა და ინდიკატორების ცხრილი *24*

ბიბლიოგრაფია: *26*

შესავალი

ნებისმიერი ტიპის ვერბალური გამოხატვა, რომელიც ხელს უწყობს ერთი ან მეტი პიროვნების სიძულვილს, მათი პერსონალური მახასიათებლების, ან რომელიმე ჯგუფთან აფილაციის გამო, სიძულვილის ენას წარმოადგენს. სიძულვილის ენა მიემართება რომელიმე კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს, ცდილობს, თავს დაესხას ადამიანს მისი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული და სხვა ჯგუფური მახასიათებლების გამო. სიძულვილის ენა ცდილობს პიროვნების დეჰუმანიზაციასა და ინდივიდის, ან ადამიანთა ერთობის დადანაშაულებას, ბრაზის, სიძულვილის, ირონიის, პატრონაჟის, ძალადობრივი ქმედებისა და მათ მიმართ ზიზღის გამოხატვით[1]. ის სხვადასხვა ჯგუფების/იდენტობების ადგილის მიჩენის პოლიტიკად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ სიძულვილის ენის გამოყენებით, სხვადასხვა ჯგუფებს/იდენტობებს შეახსენებენ ხოლმე მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობას კონკრეტულ საზოგადოებაში. მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობებს, ქალებს, ჰომოსექსუალებს და ა. შ.

სიძულვილის ენის ერთ-ერთი სახეობა არის სექსისტური სიძულვილის ენა, ან, როგორც მას მეორენაირად მოიხსენიებენ, გენდერული სიძულვილის ენა. აღნიშნულ ანგარიშში გამოყენებული იქნება ცნება „სექსისტური სიძულვილის ენა“, რომელიც უკანასკნელი წლებია, ყოვლისმომცველი გახდა ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. მის მთავარ სამიზნეს ქალები და გოგონები წარმოადგენენ. სექსისტურ სიძულვილის ენას ვხვდებით ოფლაინ და ონლაინ ყველა ფორმის სოციალურ ურთიერთქმედებაში: სკოლებში, ოჯახში, საჯარო სივრცეში, სამსახურებში, ვებსაიტებსა და სოციალურ მედიაში. სექსისტური სიძულვილის ენა არის ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც უკიდურესად ამწვავებს გენდერულ უთანასწორობას[2], როგორც სოციალურ ფენომენს. ზოგადად, სიძულვილის ენა მიმართულია რომელიმე იდენტობის ჩაგვრისა და გარიყვისკენ. შესაბამისად, სექსისტური სიძულვილის ენა მიზნად ისახავს ქალებისა და გოგონების გარიყვასა და ჩაგვრას, ცდილობს, ხელი შეუშალოს მათ სოციალურ მობილობასა და იერარქიულ კიბეზე გადადგილებას.

სექსისტური სიძულვილის ენა უამრავი ფორმით გვხვდება როგორც ტრადიციულ ბეჭდურ და სატელევიზიო, ასევე, ახალი დროის სოციალურ მედიებში. ყველაზე გავრცელებული ფორმებია: მსხვერპლის დადანაშაულება, რევიქტიმიზაცია, „სლათ-შეიმინგი“ (ბოზობით შერცხვენა), სექსუალურ ობიექტად წარმოჩენა, შეფარული, ან ცხადი სექსუალური ფოტოების გამოქვეყნება თანხმობის გარეშე, თავდასხმითი კომენტარები საჯარო გამოჩენაზე, წარმომავლობაზე, ასაკზე, სქესზე, გენდერზე, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციაზე. სიძულვილის ენა, ასევე, ვლინდება ქალებისა და გოგონების მიმართ ყალბ კომპლიმენტებსა და პატრონაჟულ დამოკიდებულებებში[3]. გარდა ამისა, როგორც მაიკლ კიმელის წიგნში, „გენდერი და საზოგადოება“, ვხვდებით ნიკოლა ბენოკრატისის ე. წ. „ნატიფი სექსიზმის “ფორმებს: „გულმოწყალე რაინდობა “, „მეგობრული ჩაგვრა “, „წახალისებული დანებება “, „საქმიანობების გაუფასურება “და

[1] B. Netkova, „Gender Based hate Speech or Sexist Hate Speech in North Macedonia“, 2020, pp. 1-2;
[2] https://rm.coe.int/1680651592
[3] https://rm.coe.int/1680651592

„ყურადღებით გამოხატული დომინაცია “- შესაძლოა, ეს მოვლენებიც ჩაითვალოს სექსისტური სიძულვილის ენად.

სექსისტური სიძულვილის ენის არსებობას ნაწილობრივ განაპირობებს/კვლავწარმოქმნის მისი ფარული ხასიათი, ვინაიდან სექსისტური სიძულვილის ენის ობიექტი ქალები, ხშირ შემთხვევაში, არ აპროტესტებენ და არ ამხელენ ხოლმე მსგავსი ტიპის მოპყრობას.

ბოლო პერიოდში, ქალები/გოგონები გახდნენ ორმაგი სიძულვილის ენის ობიექტები. ინტერსექციურობის გამო, მათ არსებობაში გადაიკვეთა გენდერი, წარმომავლობა, სტატუსი და სხვა მრავალი სოციალური ლოკაცია. ანუ, ქალები მხოლოდ ქალობის გამო არ ხდებიან სექსისტური სიძულვილის ობიექტები. სწორედ ეს ორმაგი სიძულვილის ენა წარმოადგენს აღნიშნული კვლევის ძირითად საკვლევ საკითხს. კვლევას აინტერესებს ქალის და პოლიტიკოსის იდენტობების მიმართ სექსისტური სიძულვილის ენის შემთხვევები ქართულ სოციალურ მედიაში.

სექსისტური სიძულვილის ენა ქალი პოლიტიკოსების მიმართ

სექსისტური სიძულვილის ენა განსაკუთრებით თვალშისაცემი მაშინ ხდება, როდესაც ქალები/გოგონები სოციალურად აქტიურები ხდებიან და წარმატებას აღწევენ - ხდებიან საზოგადო ფიგურები, შოუბიზნესის წარმომადგენლები თუ პოლიტიკოსები. სწორედ ამ დროს, მათ წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურდება სიძულვილის ენა, რომელსაც საფუძვლად მათი გენდერული იდენტობა და სექსუალობა უდევს. ქალ პოლიტიკოსს ხშირად მედიაში წარმოაჩენენ, როგორც სექსუალურ ობიექტს, მსხვერპლს, ტრადიციულ გენდერულ როლთან აფილაციაში მყოფს/არმყოფს, განიხილავენ მის პირადი ცხოვრებას, ქილიკობენ გარეგნობაზე, ჩაცმულობის მანერასა და ხმის ტემბრზე. ეს ყველაფერი ამცირებს პოლიტიკური სუბიექტის მიერ გამოთქმული მოსაზრებისა თუ კამპანიის მნიშვნელოვანებასა და ღირებულებას[4].

ეკა აღდგომელაშვილს, 2020 წელს მედიამკვლევარებისათვის მომზადებულ სატრეინინგო მასალაში „გენდერულად სენსიტიური გაშუქება“, მოყვანილი ჰყავს რამდენიმე სოციალურად აქტიური პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული ფრაზა, რომელიც წარმოადგენს სექსისტური სიძულვილის ენის ნათელ მაგალითს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სტატუსიან, ამ შემთხვევაში პოლიტიკოს ქალებს, ორმაგად მიემართებათ სექსისტური სიძულვილის ენა. მასალაში ვხვდებით რამდენიმე პოლიტიკოსის ან საზოგადო მოღვაწის სექსისტური სიძულვილის ენას. მაგალითად, ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს: „ვერა ქობალიაზე კი ვერ ვილაპარაკებ, იმიტომ რომ ის არასდროს არაფერს წყვეტდა და იყო ფასადზე გამოფენილი მწვანე თვალები". პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე: "[თამარ] ჩუგოშვილი თუ [თეა] წულუკიანი - საკითხი ჩემთვის ასე არ დგას. ორივე შესანიშნავი ქალია. ორივეს ძალიან უხდება ღიმილი, სხვა

4 ეკა აღდგომელაშვილის პრეზენტაცია, თბილისი, 2020.

რა გითხრათ?!“ და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი - "მე ის ნამდვილად ვიცი, რომ ქალბატონი თინა ძალიან ბევრ უსაფუძვლო განცხადებებს აკეთებს და ამავე დროს, ის ძალიან ლამაზი ქალია. ეს ვიცი". მსგავსი მაგალითები უხვად არსებობს სოციალურ მედიაში ქართველ პოლიტიკოს ქალებთან მიმართებით. წინამდებარე მეთოდოლოგია სწორედ ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გამოყენებულ სექსისტური ენის ინდიკატორებს განსაზღვრავს.

კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია

ქართველი პოლიტიკოსი ქალების მიმართ არსებული სექსისტური სიძულვილის ენის შემთხვევები, როგორც აღწერილი და სისტემატიზებული ცოდნა, არ არსებობს. სწორედ ამიტომ, კავშირმა „საფარმა“ და „მედიის განვითარების ფონდმა“, „გაეროს განვითარების პროგრამის“ ხელშეწყობით, გადაწყვიტა, განახორციელოს 112 ფეისბუქ გვერდის მედიამონიტორინგი და წინასაარჩევნო პერიოდში შეაგროვოს რაოდენობრივი და თვისებრივი პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია ქართველ პოლიტიკოს ქალებზე, სექსისტური სიძულვილის ენასთან დაკავშირებით.

შესავალში მიმოვიხილეთ სექსისტური სიძულვილის ენის ევროპასა და ამერიკაში გავრცელებულ ფორმები. თუმცა, ეს ფორმები ქართულ რეალობას რომ მორგებულიყო და შექმნილიყო ის ინდიკატორები, რომლის გამოყენებითაც მედიამონიტორინგის დროს მონიტორები შეაგროვებდნენ ინფორმაციას, დაიგეგმა და განხორციელდა სამუშაო ტიპის ფოკუს-ჯგუფები პოლიტიკოს ქალებთან, მედია და გენდერის ექსპერტებთან.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ქართველი პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ არსებული სიძულვილის ენის მოვლენაზე ცოდნის შექმნის ხელშეწყობა,

ხოლო, **კვლევის ამოცანებს** წარმოადგენდა:

- ქართველ ქალ პოლიტიკოსებზე მიმართული სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების სივრცეების დადგენა;
- სექსისტური სიძულვილის ენის ევროპული ინდიკატორებიდან გამომდინარე, ქართულ რეალობაზე მორგებული ფორმებისა და ინდიკატორების დადგენა.

ამ ამოცანების გათვალისწინებით, რესპონდენტები პასუხობდნენ კონკრეტულ შეკითხვებს, რომელიც დანართის, სადისკუსიო გეგმის სახით თან ერთვის ფოკუს-ჯგუფების ანგარიშს[5].

ფოკუს-ჯგუფი, როგორც სექსისტური სიძულვილის ქართულ ინდიკატორებზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდი[6], შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ სექსისტური სიძულვილის ენა, მით უმეტეს პოლიტიკოსი ქალების წინააღმდეგ, წარმოადგენს კონკრეტულ, ფოკუსირებულ საკითხს, რომელზეც ჯგუფის წევრების

[5] დანართი #1 - სადისკუსიო გეგმა.
[6] კვლევას არ აქვს რაოდენობრივი, ან თეორიული რეპრეზენტატულობის პრეტენზია.

ფოკუსირებული მსჯელობა შეაგროვებდა სიღრმისეულ ინფორმაციას. ჯამში ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფი - პოლიტიკოს ქალებთან, გენდერისა და მედია ექსპერტებთან. შერჩევა მიზნობრივი ხასიათის იყო, გამოყენებულ იქნა თოვლის გუნდის მეთოდიც. მართალია, ქვეყნის მასშტაბის სიმცირიდან გამომდინარე, ქალი პოლიტიკოსები, მედია და გენდერის ექსპერტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ჯგუფში, ერთმანეთს იცნობდნენ და შეუძლებელი იყო ე. წ. „თანამგზავრის ეფექტის "წარმოქმნა, ასევე საფრთხე იყო, სოციალური სასურველობის მოვლენისა და საკითხის სენსიტიურობის გამო, რესპონდენტები ჩაკეტილიყვნენ საკუთარ თავში და არ ესაუბრათ საკვლევ საკითხზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ფოკუს-ჯგუფები გაგრძელდა მინიმუმ საათსა და 30 წუთს, რომლის განმავლობაშიც, რესპონდენტებმა ღიად და სიღრმისეულად ისაუბრეს სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ფორმებისა და ინდიკატორების შესახებ. ფოკუს-ჯგუფების დასრულების შემდეგ, მომზადდა ტრანსკრიპტები და შეგროვებული თვისებრივი ინფორმაცია გაანალიზდა ნარატიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ფოკუს-ჯგუფების დროს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი. ჯერ წარმოდგენილია პოლიტიკოსი ქალების, მედია და გენდერის ექსპერტების მოსაზრებები, შემდეგ მოცემულია შეჯამება და შექმნილია კონკრეტული ინდიკატორების ცხრილი.

ქართული სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები

რესპონდენტების მონათხრობიდან შეიქმნა თეორიული კონცეპტები, რომლებიც საბოლოოდ, სექსისტური სიძულვილის ენის კონკრეტულ ინდიკატორად გადაკეთდა.
რესპონდენტების ნარატივის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ სექსისტური სიძულვილის ენა ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიმართ ხორციელდება თითქმის ყველა სოციალურ სივრცეში, როგორც მედიის თავდაპირველ ფორმებში - გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია, ასევე, ახალი ტიპის სოციალურ მედიაში, - ფეისბუქის გამოყენებით, რომ აღარაფერი ვთქვათ უშუალო სოციალურ ინტერაქციასა და პარტიებს შორის შეხვედრებზე, ან საპარლამენტო სხდომებზე. ამ მოვლენას პოლიტიკოს ქალ რესპონდენტებთან შეთანხმებით, დაერქვა **ყოვლისმომცველი სექსისტური სიძულვილის ენა** ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ. არ არსებობს სოციალური სივრცე, სადაც არ ხორციელდება ამ ენის გამოყენება ქართველი ქალი პოლიტიკოსების მიმართ.

> *„პრაქტიკულად ყველგან გვხვდება, ყველგან. განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში, სადაც ქალებს აბულინგებენ, მაგალითად, ძირითადად გარეგნობაზე, ოჯახის წევრებზე..."*[7]

ქვემოთ მოცემულია სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ფორმები, რომლებიც შექმნილია ქართველი ქალი პოლიტიკოსებისა და მედია/გენდერის ექსპერტების ნაამბობზე დაყრდნობით. ჯერ მოცემულია შესავალში გამოყოფილ ევროპულ ინდიკატორებთან **(სლათ-შეიმინგი (ბოზობით შერცხვენა), სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება, სხეულით შერცხვენა (ხმის ტემბრი, ემოციური საუბარი), ეიჯიზმი,**

7 ანგარიშში დაცულია რესპონდენტების საუბრის ორიგინალური სტილი.

პოზიტიური სექსიზმი - ყალბი კომპლიმენტები, წახალისებული დანებება, შარჟი, ხუმრობები, ჭორაობა) თანხვედრაში მოსული, ხოლო, შემდეგ მხოლოდ ქართული სივრცისთვის დამახასიათებელი ინდიკატორები **(გამოცდილებასა და პრინციპულობის ნაკლებობაზე მითითება, სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით, ქალის გენდერული როლი, საყვედურები ოჯახსა და დედობაზე, „კაცური" ქცევის მქონე ქალი პოლიტიკოსის სიძულვილი, კაცის დანამატი, ფულზე გაყიდული, უმცირესობების უფლებების დამცველი ქალი პოლტიკოსების ჩაგვრა, ცუდი ქართველი).**

ევროპულ ინდიკატორებთან თანხვედრაში მყოფი ინდიკატორები

ბოზობით შერცხვენა/Slut-shaming

რესპონდენტებთან საუბრის შედეგად შეიქმნა კატეგორია: „სლათ-შეიმინგი". სლათ შეიმინგი იყოფა ორ ქვეკატეგორიად - „ვინმეს ქალი" და სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება; „ვინმეს ქალი" კიდევ ორ ქვენაწილად იყოფა - ერთი ტიპის ქალი, რომელიც არ არის კომპეტენტური და კაცმა მოიყვანა ნაცნობობის საფუძველზე, და მეორე ტიპის ქალი, რომელიც შეიძლება, კომპეტენტური იყოს, მაგრამ „ბოზია" და რომელიმე პოლიტიკოსი კაცის საყვარელი.

> *„თავის სიტყვაში თქვა, რომ ქალები უფრო მერიტოკრატიულ საფუძველზე უნდა შეირჩეოდნენო. ამ დრომდე, სამწუხაროდ ეს ასე არ იყო, მაგალითად, იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ ვის გაიცნობდა თვითმფრინავში და აქედან წყდებოდა ხოლმე მისი კარიერა და პოლიტიკაში მოსვლაო, რაც ჩემზე იგულისხმა".*

ქართულ სოციალურ სივრცეში წარმოქმნილია სოციალური კონსტრუქტი **„მიხეილ სააკაშვილის (მიშას) ქალები",** რომელიც კლასიკური ნიმუშია სექსისტური სიძულვილის ენის, კერძოდ „სლათ შეიმინგის".

> *„მიხეილ სააკაშვილის ქალები და ასე გვიწოდებენ მუდმივად, ეს სტერეოტიპად ჩამოყალიბდა".*

პოლიტიკოს ქალებთან შეთანხმდა, რომ ქალის დაკავშირება ნებისმიერ კონტექსტში პოლიტიკოს კაცთან, სექსისტური სიძულვილის ენის მაგალითია.

> *„მაგალითად, შალვა თადუმაძის კავშირზე როცა საუბრობ ბიძინა ივანიშვილთან, იქ სხვაგვარი ინსინუაციაა და არა როგორც მათ, როგორც კაცის დაკავშირება ხდება პირადი ცხოვრების თვალსაზრისით სხვასთან; მაგრამ როცა ქალს აკავშირებ კაცთან... აი, იქ სულ სხვა ტიპის ინსინუაციაა, რომელიც კერძოდ მას გენდერულად გამოარჩევს ".*

„მიშას ქალები "კონსტრუქტთან ერთად, არსებობს „მიშას რძლის "მოვლენაც. კაცი პოლიტიკოსი რაც უფრო ოდიოზურია, მით უფრო მეტ ქალ პოლიტიკოსს ეძალადებიან მისი სახელის გამოყენებით. ეს მოდური და ტრენდულია. მიზანი კი ამ ქალების

განადგურებაა. მსგავსი ტიპის ზედმეტსახელით ქალი პოლიტიკოსის მოხსენიება ითვლება სექსისტური სიძულვილის ენად. ზოგიერთი პოლიტიკოსი კაცი საზოგადოებას თავად ჰყავს ისე აგებული (ჰიპერბოლიზებული), რომ შემდეგ მისი "ვითომ თვისებებიდან" (მაჩო, სექსუალური მანქანა) გამომდინარე, ამკობენ მისი პარტიის წევრ ქალებს სიძულვილის ენის ნიმუშებით.

> *„ხშირად ხდება ხოლმე, იმის ქალები, ამის ქალები, იმის რძალი. მე ახლა, მაგალითად, მიშას რძალი, - სულ ასე მომმართავენ ხოლმე ხშირ შემთხვევაში, თუმცა არ ვარ ნამდვილად".*

ექსპერტების ჯგუფში გამომჟღავნდა პარტიულად განპირობებული სექსისტური სიძულვილის ფორმები. **სლათ შეიმინგი,** მაგალითად, ნაციონალ პოლიტიკოს ქალებს უფრო ხშირად მიემართებათ ხოლმე, მიშადან გამომდინარე, ხოლო ოცნების წარმომადგენელ პოლიტიკოსს ქალებს ძირითადად მოიხსენიებენ, როგორც **უტვინოებს, უშნოებს**, **ხიხოებს,** ბიძინასთან კავშირის გამო. განაწილდა, რომ თითქოს ნაციონალი ქალები არიან "ბოზები" და "ნევროტულები", ხოლო ოცნების წარმომადგენელი ქალები - "მსუქნები", "მახინჯები", "უტვინოები", "გოიმები", - სალომე ზურაბიშვილიდან დაწყებული, გუგული მაღრაძით დამთავრებული. წილოსანი წარმოადგენს ერთადერთ გამონაკლისს ქართული ოცნებიდან, რომელიც ჯდება სექსუალური ობიექტის, სლათ შეიმინგის სიძულვილის ენის სტანდარტში. რაც შეეხება სხვა პარტიებს, - რესპუბლიკელები ბულინგდებიან ძირითადად უმცირესობების უფლებების დაცვის გამო და ამ კონკრეტული, ჰომოფობიური ენით, ხოლო პატრიოტთა ალიანსი და კერძოდ ირმა ინაშვილი - "კაცურობის" გამო.

> *„ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების წევრი ქალების მიმართაც კლიშეები არსებობს, როგორც მოიხსენიებენ ხოლმე მათ. როგორც წესი, ოცნების წევრებს მოიხსენიებენ მაგალითად, ხიხო და სოფელი ხო, გოიმი და ნაციონალური მოძრაობა, რომელიც და მისი ლიდერი, რომელიც თავის დროზე ასეთი სექსუალიზებული პოლიტიკური ფიგურა იყო, მიშა ძალიან ისეთი იყო ხო, მითები მის მამაკაცურ შესაძლებლობებზე".*

ინდიკატორი: კაცი პოლიტიკოსის საკუთრებად ქალი პოლიტიკოსის ნებისმიერი ფორმით მოხსენიება - რომელიმე კაცი პოლიტიკოსის გამო ქალი პოლიტიკოსების "პროსტიტუტებად" ("ვინმეს ქალი", "ვინმეს ნათესავი", "ვინმეს მეგობარი").

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენებისა, სლათ-შეიმინგი დაკავშირებულია ხაზგასმულად ფემინურ იმიჯსა და რეპრეზენტაციასთან.

სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება

სლათ შეიმინგის ერთ-ერთი ქვეკატეგორიაა **სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება**. ეს ინდიკატორი ყველაზე ადვილად აღმოსაჩენი და გენდერულად განპირობებულია.

> *„მე მაგალითად, რამდენჯერმე ვყოფილვარ იმ ტიპის უხამსი, რაღაც ფოტოც უხამსი იყო, ფოტოშოპი იყო და კომენტარებიც ძალიან უხამსი, რომ ჩავთვალე, რომ ჩემს ქმარს ეს არ უნდა ენახა და რაღაცნაირად მოვახერხე“.*

ინდიკატორი: ნებისმიერი სახის სექსუალური შინაარსის ფოტოს ან ვიდეოს გავრცელება პოლიტიკოსი ქალის თანხმობის გარეშე.

სხეულის ნიადაგზე შერცხვენა (ვიზუალური რეპრეზენტაცია)

აღმოჩნდა, რომ ქართულ სივრცეში ჩაცმულობა, რეპრეზენტაცია და ზოგადად, სექსუალობის განხილვა, სექსისტური სიძულვილის ენის ნიმუშებია. შეიძლება პოლიტიკოსი ქალის ჩაცმულობა, თმის და თვალის ფერი გახდეს სიძულვილის ენის საფუძველი.

> *„აი, მაგალითად, რატომ გაცვია ოდნავ ესეთი, რატომ გაქვს შეღებილი თვალი, თინას რატომ აქვს ქერა თმა მაგალითად, ესეთი რაღაცები ანუ. იმას ასე როგორა აქვს და მერე ამას ყვება და მერე ეს გადადის აი, სექსისტურ, ასე ვთქვათ იმაში, რომ ქალს ანუ, ყველა მიმართულებით ხდები ანუ სიძულვილის ობიექტი“.*

საინტერესო მოვლენაა **დრესკოდი**. ქალი პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა, ისინი გახდნენ სექსისტური სიძულვილის ენის მსხვერპლნი, ხაზგასმულად ფემინური ჩაცმულობის, ან მაკიაჟის ტარების გამო და მოხდეს მათი სლათ შეიმინგი, განსაკუთრებით, თუ ქალები ახალგაზრდები არიან.

> *„გვქონია ჩვენ ამაზე საუბრები, უნდა ეცვას თუ არა ქალ პოლიტიკოსს ფემინურად, უფრო სწორად შეიძლება თუ არა, ქალ პოლიტიკოსს ესვას წითელი პომადა. ან, მაგალითად, ეკეთოს გრძელი საყურე, ან გაშლილი თმა...„*

> *„ერთ-ერთ პროფილის სურათზე, რომელიც გვინდოდა ბანერად, მე თვითონ მოვექეცი მაგ სტერეოტიპის ქვეშ, რომ კაბა მაცვია, ჭრელი კაბა. არაფერი ისეთი არ არის განსაკუთრებული, მარა აესეთი შენიშვნები მივიღე, რომ აი რად გინდა კაბა, ცოტა ფემინურია ეს კაბა და მე თვითონ ჩავფიქრდი, მართლა ხომ არ სჯობია, რომ პერანგი ჩავიცვა-თქო და პიჯაკი ჩავიცვა-თქო”.*

ეს კონკრეტული ინდიკატორი იმიტომ არის გენდერულად განპირობებული, რომ კაცების გარეგნობაზე ქილიკი მათ არ ვნებთ პოლიტიკურ ასპარეზზე, ქალისგან განსხვავებით. კაცებს მოდური ჩაცმულობა „კაი ტიპად“ აქცევს, მაშინ, როდესაც ქალები სექსისტური სიძულვილის ენის ობიექტები ხდებიან და მათი ჩაცმულობის გაქილიკებით ხორციელდება მათი სლათ შეიმინგი.

> *“კაცი, გვახსოვს მაგალითები, რომელიც შეიძლება რაღაცა სტანდარტებისგან გადახვეულად იცმევს, საზოგადოება მას აღიქვამს,*

> *როგორც ქულ, თავისუფალი, მოდერნული ტიპი. ანუ, კაცმა ამაში გაიყვანოს, რო ფეშენი ესმის რაღაც... და ქალი, რომელიც ამ სტანდარტებიდან გადავა, მის მიმართ, მე ყოველ შემთხვევაში ასე აღვიქვამ, რომ ყოფაქცევისკენ მიდის დისკურსი, ანუ პატიოსანია თუ არა, თანამედროვეა თუ არა კი არა?!".*

აქვე საინტერესოა, რომ ასაკით ახალგაზრდები, ან სტანდარტულად ლამაზები, თუ არ არიან ქალი პოლიტიკოსები, მაშინ ისინი სლათ შეიმინგის, ან ყალბი კომპლიმენტის ნაცვლად, **სხეულის ნიადაგზე შერცხვენის** სექსისტური სიძულვილის ენის ობიექტები ხდებიან ხოლმე.

> *„სხეულის გამო შერცხვენის ნაწილში, მე მგონი, მარტო სტანდარტულად „ლამაზია" არ არის, გვქონია იმის მაგალითი, იმის მაგივრად, რომ ქალი პოლიტიკოსის არასახელმწიფოებრივ პოლიტიკას გაუსვან ხაზი, ამბობენ მაგალითად, რომ არის მახინჯი, რას გავს, პატარა, დიდი, ამხელა მკერდი, იმხელა საჯდომი და ა. შ. და ანუ ორი მიმართულებით არის ჩემი აზრით, დადებითი ანუ - სტანდარტულად მიღებული სილამაზისკენ წასული და სტანდარტისგან გადახვეული...".*

შეჯამებისთვის, სხეულისა და სექსუალობის ნიადაგზე სიძულვილი, სლათ შეიმინგის, ყალბი კომპლიმენტისა და სხეულის ნიადაგზე შერცხვენის გამოყენებით ხორციელდება. სტანდარტული სილამაზის მითში ჩამჯდარ ქალ პოლიტიკოსებს „ბოზობის" წამოძახებითა და საქმის მიღმა ყალბი კომპლიმენტებით ამკობენ, ხოლო სტანდარტული სილამაზიდან გადახვეულ ქალ პოლიტიკოსებს უწოდებენ მახინჯებსა და მსუქნებს.

ინდიკატორი: ქალის სხეულის/სექსუალობის, პოზიტიურ, ნეგატიურ, ასაკობრივ, ხაზგასმულად ფემინური ჩაცმულობის, სილამაზის ნებისმიერი ფორმით ხსენება.

ხმის ტემბრი

სხეულის ნიადაგზე შერცხვენის გაგრძელებას წარმოადგენს ქალი პოლიტიკოსების ხმის ტემბრი, რომელიც ხშირად გამოიყენება მათ მიმართ სექსისტური სიძულვილის ენის საფუძვლად - „წიკვინებს", „წიწინებს", „წივის".

> *„ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, სადაც მიგრძვნია სერიოზული განსხვავება ქალების და პრობლემურია ჩემთვისაც მათ შორის, არის ხმის ტემბრი. და განსაკუთრებით... ანუ ქალური ხმა, მე ეხლა არა მაქვს ბოხი ხმა და ძირითადად ისეთ თემებზე მიწევს მუშაობა, ვიღაცა გარდაცვლილი ან მოკლული... ემოცია როდესაც გემატება, ხმა კიდევ უფრო წვრილდება და ამაზე შემინიშნავს ხოლმე ჩაგვრა. ჩემნაირ ქალებს ხმა კიდევ უფრო არასასიამოვნო მოსასმენი უხდება და მერე მოდის კომენტარი: წიწინა, კიკინა და ა. შ.".*

ექსპერტების ჯგუფზეც სრული შეთანხმებით, შეიქმნა **სხეულის ნიადაგზე დარცხვენის**, კერძოდ **ხმის ტემბრზე** სექსისტური სიძულვილის ენის კონსტრუქტი.

> *კი, ანუ ზუსტად ეგ, სანამ იტყვით ამ ტერმინს, ეს წიკვინა ქალი მოაშორეთ, ეს ყოფილა, მახსოვს მეც ეს ტერმინი. სხვათა შორის არამხოლოდ ხმაზე, მე ახლა არ დავასახელებ პოლიტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ, რომ მაგალითად, მაკიაჟზე, მაგალითად წითელი პომადა არ წაისვან, იმიტომ რომ ვითომ უფრო სექსუალური ჩანან. ცდილობენ, რომ უფრო ბაცი მაკიაჟი... თმები არ გაიშალონ, რომ არასერიოზულად არ იყვნენ აღქმულები და უფრო სოლიდურები გამოჩდნენ".*

ინდიკატორი: ქალი პოლიტიკოსის ხმის ტემბრზე ნებისმიერი სახის ქილიკი სოციალურ ქსელში.

ემოციური საუბარი

ხმის ტემბრის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს საუბრის ემოციური მანერა, რის გამოც, ხშირად ქალი პოლიტიკოსები ხდებიან სიძულვილის მსხვერპლები.

> *„მაგალითად, ქალი როცა რაღაცაზე ემოციურად აფიქსირებს პოზიციას, ეს აღიქმება, როგორც აგრესული ქალი მაშინ, როცა კაცი არააგრესიულობს და შეიძლება... აი გულიანად ილაპარაკა, ოხ, რა გულიანად ილაპარაკა და ქალიოოო... რა აგრესიულია, სახლშიც ასეთი იქნება, ესეთები შემხვედრია".*

ინდიკატორი: ქალი პოლიტიკოსის საუბრის მანერაზე ნებისმიერი სახის ქილიკი სოციალურ ქსელში.

ეიჯიზმი

როგორც რესპონდენტები თანხმდებიან, ხშირად ქალ პოლიტიკოსებზე ასაკობრივ ნიადაგზე მიემართება სექსისტური სიძულვილის ენა. პოლიტიკოსი ქალი სიძულვილის ობიექტი ხდება ხანდაზმულობის გამო, რომ ნაცვლად შვილიშვილებთან თამაშისა და მათი აღზრდისა, ის საზოგადო სივრცეში რჩება და საქმიანობს.

> *„ახლა ძალიან ხშირად ჩემს მიმართ იყო ესეთი, რომ სამოცი წელზე მეტის ქალზე... რა უნდა ამას პოლიტიკაში, დაჯექი, ქალო, სახლში, შვილიშვილებს მოუარე და ა. შ. და მე არ მახსოვს ასეთი კომენტარი რომელიმე კაცზე ეთქვათ, რომ შენ 60 თუ 70-ის ხარ, რა გინდა პოლიტიკაში და წადი".*

ხანდაზმულთან ერთად, ჩაგვრის ობიექტი არის ახალგაზრდა პოლიტიკოსი ქალი. თუმცა, ხანდაზმულისგან განსხვავებით, რომელსაც ბებიობას უწუნებენ, ახალგაზრდა

პოლიტიკოსს ქალს აბრალებენ ნაცნობობით პოლიტიკაში მოსვლას, რომელიც მან სინამდვილეში არ დაიმსხურა.

> *„ახალგაზრდა ქალების მიმართ სხვა ტიპის ბულინგი მიმდინარეობს, რაც მათ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას დაუყოვნებლივ უკავშირებენ ბრჭყალებში შემთხვევით გაცნობებს, ანუ კავშირებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათ მერიტოკრატიულ მოცემულობებთან “.*

ახალგაზრდად მოხსენიება გადაჯაჭვულია „სლათ შეიმინგთან“, ხოლო ხანდაზმულად მოხსენიება - სხეულის ნიადაგზე შერცხვენასთან და მეოჯახეობასთან დაკავშირებულ მანიპულაციებთან („ცუდი ბებია, დედა“).

ეიჯიზმი, როგორც სექსისტური სიძულვილის ენის ერთ-ერთი ძირითადი იარაღი, მედია და გენდერის ექსპერტების ჯგუფშიც ამოვიდა.

> *„რა მახსენდება, ერთადერთი წულუკიანზე, სააკაშვილის მახინჯიაო, - რამდენიმე ხნის წინ ნათქვამი პირდაპირ, და კიდევ ჩვენ ქალ მინისტრზე გია ნოდიას ნათქვამი, ეს პატარა გოგოო... ტიკარაძეზე თქვა. ხო, ეს ეიჯიზმი, პატარა გოგოო და დიდი გოგო გუგული რაღაც ერთნაირად, რაღაც ძაან ის არის, თავში წამოსარტყმელი...“.*

ინდიკატორი: ქალი პოლიტიკოსის ასაკის ნებისმიერი ფორმით ხსენება (ახალგაზრდა, მოხუცი).

პოზიტიური სექსიზმი - ყალბი კომპლიმენტები

რესპონდენტების მონათხრობიდან შესაძლოა, დავასკვნათ, რომ ქალ პოლიტიკოსს საჯაროდ, სოციალურ სივრცეში, თუ ვინმე უწერს კომპლიმენტს, მაშინ როდესაც საქმიანი განხილვა, პოლიტიკური დებატი, ან რაიმე პოლიტიკური შინაარსის აქტივობა მიმდინარეობს, ითვლება სექსისტურ სიძულვილის ენად.

> *„ეს ბევრჯერ გაგვიგია ყველას, ჩემზეც გადაუშეარებიათ რაღაც, სამოდელოში წადი მაგალითად. სულ არა ვარ მაგ ასაკში, გამოვედი მაგ ასაკიდან, რამდენი წლის ვარ უკვე, მაგრამ დაუწერიათ ფეისბუქზე“*

> *„იყო ამაშუკელის გამოსვლა, სადაც ყველას ლანძღავდა და უცებ მე ჩამთვალა, რომ მე იქ კოლხეთის დედოფალი ვარ და ა. შ. წარმოდგენა არა აქვს ამაშუკელს, და ალბათ ფიქრობს, რომ კომპლიმენტი თქვა, მე რა უხერხულობა შემიქმნა ამის გამო, შეიძლება ვერც კი წარმოიდგინოს.“*

აღმოჩნდა, რომ ქალი პოლიტიკოსების **სილამაზის ხაზგასმით** პოლიტიკოსი კაცები ახერხებენ ქალის წარმატებულობისა და პროფესიული მიღწევების გადაფარვასა და

გაუფასურებას, ცდილობენ, ქალები ამ ხერხის გამოყენებით განდევნონ პროფესიული ველიდან და ხალხის ყურადღება ქალების მხოლოდ ფიზიკურ მახასიათებლებზე გადაიტანონ. ეს მოვლენა უტყუარად წარმოადგენს სექსისტური სიძულვილის ენას.

> *„გარეგნობაზე ხაზგასმა ემსახურება ძირითადად იმას, რომ ვთქვათ, ნიველირება მოხდეს, როგორც პროფესიონალის. არ საუბრობენ მის არც მიღწევაზე, არც ვთქვათ, წარმატება/წარუმატებლობას კი არ აფასებენ, არამედ აფასებენ გარეგნობას მაგალითად და ესეც ერთ-ერთი მეთოდი არის, რომ რაღაცნაირად განდევნონ ამ პროფესიული ველიდან, სხვა მახასიათებლებზე გადაიტანონ ყურადღება".*

***სილამაზის ხაზგასმასთან** ერთად, არსებობს **სიმახინჯის ხაზგასმა,** რომელიც ცალსახად მიჩნეულ იქნა სიძულვილის ენის გამოხატულებად.*

> *„სხვათა შორის, პირველად გამოიყენა წულუკიანის მიმართ მიშამ ეს ტერმინი - მახინჯი ქალი, და მერე იმდენად მოეწონა, რომ ყოველთვის იმეორებს, თუ აკვირდებით, წულუკიანზე. შეიძლებოდა, დებატები რომ იქ სხვა რანგში გადასულიყო, პოლიტიკურ დისკურსში გადასულიყო მათი პოლემიკა, მაგრამ არ გადაყავს მიშას, იქ ტოვებს, რომ ეს არის მახინჯი ქალი".*

აღმოჩნდა, რომ ქალები ვიზუალთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოვლენაზე სექსისტური სიძულვილის ენის მსხვერპლნი ხდებიან.

> *„პირველი, რა თქმა უნდა, ვიტყოდი, რო ეს არის ვიზუალი და არა აქვს მნიშვნელობა, თუ ქალი მასკულინურად გამოიყურება, ამაზე აქცენტირება, თუ ფემინურად გამოიყურება, უიმე, გრძელი თმები რატომ აქვსო რაპუნცელივითო, აი, ასე. ანუ, არა აქვს მნიშვნელობა, ქალი როგორ გამოიყურება, ვიზუალზე თავდასხმა ძალიან ხშირ შემთხვევაში ხდება, ამიტომ პირველი, ვიზუალს აუცილებლად გამოვყოფდი".*

ყალბი კომპლიმენტი, როგორც სექსისტური სიძულვილის ენის მაგალითი, როგორც პოლიტიკოსი ქალების, ასევე, მედია და გენდერის ექსპერტების ნარატივშიც გამომჟღავნდა. მათი მოსაზრებით, მსგავსი ტიპის სიძულვილის ენით, მოძალადეები ქალების გონების, რაციონალურობის სივრციდან განდევნას ახერხებენ და მათ მხოლოდ სხეულთან აკავშირებენ, რომელიც არარაციონალურ მოვლენად არის აღქმული ქართულ და ზოგადად დასავლურ კულტურაში. თუ პოლიტიკოსი ქალი მხოლოდ სხეულია, შესაბამისად ირაციონალურია და პოლიტიკაშიც, რომელიც რაციონალური საქმიანობაა, არ უნდა იყოს.

> *„ლამაზი თვალები აქვს და ლამაზია, მაგრამ აკნინებენ, ვთქვათ, მის გამონათქვამს. მაგალითად, ნინო წილოსანზე მახსოვს იყო ესეთი რაღაცეები. შეიძლება, როგორც ვთქვათ, პროფესიული*

> *გადმოსახედიდან, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, არასწორი განცხადება გააკრიტიკო, მაგრამ იქვეა ხაზგასმა, რომ ლამაზი ქალია, მაგრამ შტერია, სულელია, ქათამია და ესეთი რაღაცეები ყოფილა".*

გენდერის ექსპერტების მიერ შეიქმნა საინტერესო ცნება, **თანამედროვე სექსიზმი,** რომელიც გულისხმობს შეფარული ყალბ კომპლიმენტების ერთობლიობას, რომელიც ირონიის საშუალებით მაინც აკნინებს ქალ პოლიტიკოსებს და ხელს უშლის მათ საქმიანობებში.

ინდიკატორი: ნებისმიერი სახის კომპლიმენტი, რომელიც სცილდება საქმეს და მიემართება ქალი პოლიტიკოსის ვიზუალსა და რეპრეზენტაციას.

დანებების წახალისება

ქალი პოლიტიკოსისთვის საჯაროდ სოციალურ ქსელში იმის მოწოდება, რომ რა გინდა პოლიტიკაში ასეთ კარგ გოგოს, არის დანებების წახალისება სექსისტური სიძულვილის ენის ერთ-ერთი ფორმა.

> *„ჩემთვის პირადად, პირდაპირ ეთერში დაურეკავთ და უთქვამთ აი, რა კაი გოგო ხარ და რა გინდა ამდენს რომ... წადი სახლში, კაი სადილი გააკეთე, აი პირდაპირ უთქვამთ ასე. პირდაპირ ეთერში".*

ინდიკატორი: ნებისმიერი ფორმით ქალი პოლიტიკოსისთვის იმის თქმა, რომ მათი ადგილი არაა პოლიტიკაში.

შარჟი, ხუმრობები, ჭორაობა

შარჟი, ფოტოები, ხუმრობები, ნებისმიერი სახის ჭორაობა უფრო მეტად აზიანებს ქალ პოლიტიკოსებს, ვიდრე - კაცებს. შესაბამისად, მსგავსი შინაარსის მედია ინფორმაცია ჩაითვლება სექსისტურ სიძულვილის ენად.

> *„რამდენიც გინდათ, ჩემი ეგეთი ფოტოებით, მით უმეტეს იმ სიგარეტის კანონის შემდეგ იყო სავსე ფეისბუქი და ძალიან ისეთი..."*

> *„მე და ხათუნას ფოტოები ძირითადად არის წითელი პომადით და ეშმაკის (იცინის)".*

> *„სურათები და გამოგონებები, რომ გუგული მაღრაძემ თქვა, რომ ცოლი და ქმარი ერთად უნდა იყონ მარტო სამშაბათობით და იმდენად ის, რომ მაგალითად გუგული მაღრაძის დისშვილმა რაღაცა ამბები გამოიტანა გლდანიდან, როცა და არა მყავს საერთოდ და ნუ დისშვილი. რომ მე ქუთაისში ქალი გავიტანე მაშინ, როცა მანქანის*

> *მართვა არ ვიცი და ნუ ახლა ესეთი ფეიკები კაცის მიმართაც შეიძლება, მაგრამ ქალის მიმართ უფრო ნოყოფიერი ნიადაგია და ქალი უფრო ზიანდება".*

ინდიკატორი: ნებისმიერი სახის ჭორი, დაუზუსტებელი ინფორმაცია და ხუმრობა, რომელიც წინასაარჩევნოდ პოლიტიკოს ქალებს მიემართებათ.

მხოლოდ ქართული სივრცისთვის დამახასიათებელი ინდიკატორები

გამოცდილებასა და პრინციპულობის ნაკლებობაზე მითითება

რესპონდენტების ნარატივზე დაყრდნობით, შესაძლოა, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში არსებობს სოციალური კონსტრუქტები - „გამოცდილება" და „პრინციპულობა", რომელთაც აქვთ გენდერი. ამ ორ კონსტრუქტს დადებითი კონოტაციით იყენებენ მხოლოდ კაცი პოლიტიკოსების მიმართ. თუ ეს ცნებები ქალ პოლიტიკოსებს ეხება, ისინი გამოყენებულია, როგორც სექსისტური სიძულვილის ენის ნიმუში. ქალ პოლიტიკოსებს საჯაროდ ხშირად უწუნებენ გამოცდილებასა და პრინციპულობას.

> *„ბოლოს მქონდა ესეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა სოციალურ ქსელში ასე პირდაპირ თქვა, რომ გამოუცდელი და უპრინციპოაო. ახლა, კაცი რომ ვიყო, ნამდვილად არ იტყოდა ალბათ გამოუცდელს და უპრინციპოს".*

გარდა უარყოფითი კონოტაციისა, გამოცდილებისა და პრინციპულობის სოციალური კონსტრუქტების „დადებითი" ფორმით გამოყენებაც რესპონდენტებმა სექსისტური სიძულვილის ენად ჩათვალეს. მედია ექსპერტების ფოკუს-ჯგუფზე გაიხსენეს, როგორ გაიკვირვა თავის დროზე, 90-იან წლებში, აკაკი ასათიანმა გუგული მაღრაძისა და მის მიერ დაარსებული ქალთა პარტიის წარმომადგენელი ქალების „გამოცდილება" და „პრინციპულობა."

ინდიკატორი: ქალი პოლტიკოსის დაკავშირება გამოცდილებასა და პრინციპულობასთან ნებისმიერი ფორმით (შექება, საყვედური, დაწუნება).

სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით

მეორე ქართული ინდიკატორი აღმოჩნდა, რომ თუ ქალი პოლიტიკოსი მუშაობს ისეთ საკითხებზე, რომელიც, ერთი შეხედვით, არ ჯდება პატრიარქალური, ჰეტერონორმატიული ოჯახის, ან ზოგადად ქალის როლზე მოლოდინების მისაღებ ჩარჩოებში, ასეთ პოლიტიკოს ქალებს ხშირად ეკითხებიან, უკომენტარებენ, მიმართავენ, რომ სად არის მათი ქმარი, მამა, ან ვაჟიშვილი. ამ უკანასკნელს წინა ორთან შედარებით ნაკლებად, თუმცა მაინც მოიკითხავენ ხოლმე.

> *„მაგალითად, ვიღაცას არ მოსწონს ჩემი კომენტარი (ჰომოსექსუალებზე) ხო, ან იცავ რომელიმე მგრძნობიარე ჯგუფის ინტერესებს, - პირველი შეკითხვა, რაც მოდის: ქმარი არ ჰყავს? ეს*

> *კომენტარშიც იწერება, ეს ეთერშიც განიხილება. ანუ, თუ ქალი ხარ, აუცილებლად მოიკითხავენ ქმარს/მამას. ნუ შვილებს ეხლა იშვიათად, იმიტომ რომ შვილს შეიძლება არ ჰქონდეს ესეთი დომინირებული მდგომარეობა ქალზე ოჯახში, ვაჟსაც კი".*

სიძულვილის ენის ერთი ნიმუში არის პოლიტიკოსი ქალის ქმრის ან მამის შემოყვანა დისკურსში და მეორე, სიძულვილის ენა ხშირად მიმართულია ზოგადად ქმრის ყოლაზე, როგორც სოციალურ ფენომენზე. თუ ქალ პოლიტიკოსს ქმარი არ ჰყავს, ამაზეც სიძულვილის ენის მსხვერპლი ხდება იგი. საფუძველი ამ ტიპის სიძულვილის ენას აქვს დაშვება, რომ უქმრო ქალ პოლტიკოსს რაღაც არ აქვს „ნორმაში".

> *„ქმარი თუ არ გყავს, მე ეხლა არ მყავს დიდი ხანია. ქმარი თუ არ გყავს, ეს გეთვლება, როგორც მინუსი და სხვათა შორის, ამას წინათ ჩემმა მეგობრებმა გააკეთეს სერჩის ამბავში, როგორ ამოდიხარ გუგლ სერჩით, იმიტომ რომ ფეისბუქ კამპანიისთვის გვჭირდებოდა და ყველაზე მეტი არის, ვინ არის ჩემი ქმარი მაგალითად, ეს აინტერესებდათ. თუ ქმარი არ გყავს, არ ხარ სრულფასოვანი ქალი პოლიტიკოსი".*

ხშირად ვხვდებით სიძულვილის ენის მაგალითს, რომ ქალი პოლიტიკოსი იმიტომ არის აქტიური, რომ „ქმარმა ვერ მიხედა", „ვერ უპატრონა".

> *„ყველაზე ქართული სტერეოტიპი არის, ქმარმა როგორ არ მიხედა?!".*

ასევე, ხშირია ქმრის შეცოდება, როგორც ადამიანის, რომელიც ამ აქტიური ქალის გვერდით „კაცობაჩამორთმეულად" აღიქმება.

> *„საცოდავი ქმარი არის ძაან ხშირად, თუ აქტიურია პოლიტიკოსი ქალი, საცოდავი შენი ქმარი ".*

ინდიკატორი: ქალი პოლიტიკოსის საქმიანობაზე საუბრის დროს ქმრის, მამის და ვაჟიშვილების ნებისმიერი სახით ხსენება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქმრებს მოიხსენიებენ, როგორც საცოდავსა და უუნაროს.

ქალის გენდერული როლი

აღმოჩნდა, რომ სექსისტური სიძულვილის ენა მიემართებათ ქალ პოლიტიკოსებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებაში ქალის გენდერულ როლთან დაკავშირებულ ცოდნებს არ ამჟღავნებენ: სახლის საქმე, სამზარეულო, კულინარია, დედობა და ა. შ.

> *"საზოგადოებას აინტერესებს, შენ სამზარეულოშიც თუ ხარ კომპეტენტური, რომელიც არანაირ კავშირში არ არის, - შეიძლება ძაან კაი დიასახლისი იყო და ცუდი კანონმდებელი, მაგრამ ეს ჩემთვის გენდერულია. მაგალითად, კაცი სახლში ხელმარჯვეა თუ არა, ესეც ხო არის გენდერული სტერეოტიპი ჩვენთან, მაგრამ ამას პოლიტიკოს კაცზე არავინ იკითხავს, ლურსმანს კარგად აჭედებს თუ არა ჩამოვარდნილ თაროზე".*

ფოკუს-ჯგუფების მონაცემების გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ შეიძლება, კაც პოლიტიკოსზე სოციალურ სივცრეებში ღადაობენ, რომ ის არის კარგი თამადა და ლექსებსაც კარგად ამბობს. დასცინიან და მიწასთან ასწორებენ მას, მაგრამ ეს ყველაფერი, შესაძლოა, ეხმარება კიდეც მას პოლიტიკური ქულების ჩასაწერად.

> *„კი ბატონო, ეხლა მე არ დავკონკრეტდები, მაგრამ ერთ-ერთი ვიღაცის მიმართ მითხრეს, რომ მაგრად სვამს და ეს საზოგადოებაში ძაან დიდ პლიუსადაა, რომ მაგარი კაცია ".*

ეს მოვლენა ქალის მიმართ სიძულვილის ენის წამახალისებელია. თუ ის სვამს, ან ეწევა, დაკნინდება და დაბულინგდება.

> *„ქალის მიმართ რომ თქვან, მაგრად სვამო, გააცამტვერებენ და დაანიავებენ, რას ქვია, ქალი სვამსო ".*

> *„ესე მგონია, რომ პირობითად ეხლა ქალი რომ გამოიჭირონ, როგორ მწვადაობს, გამომდინარე იქედან, რომ მოლოდინი არ არის, რომ ქალი ზოგადად მწვადაობს, უფრო დაარტყამს ეს იმიტომ, რომ იტყვიან, რომ აი არჩევნების გულისთვის რა აღარ გააკეთა, პოპულიზმად მოუნათლავენ ".*

კონსტრუქტი, **ქალის გენდერული როლი** ექსპერტების ჯგუფშიც ამოვიდა.

> *„ბოლო დროინდელები, რაც მახსენდება კიდევ, ეს იყო მამუკა ხაზარაძის ნათქვამი... შეიძლება კარგად აცხობს ხაჭაპურსო, მაგრამ ინფრასტრუქტურაზე წარმოდგენა არა აქვსო".*

ინდიკატორი: ქალი პოლიტიკოსის დიასახლისად, კულინარად, ან კაცისთვის დადებითად განმტკიცებული ქცევებით მოხსენიების ნებისმიერი მცდელობა.

საყვედურები ოჯახსა და დედობაზე

როგორც რესპონდენტები ყვებიან, ქალი პოლიტიკოსების შექება მრავალშვილიანი დედობის გამო, საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა მსოფილო პოლიტიკაშიც, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ქალი პოლიტიკოსის დასაკნინებლად გამოიყენება. ეს კონსტრუქტი სიძულვილის ენად გარდაიქმნება და ისევ ქალის დასაჩაგრად გამოიყენება. ჩაგვრა მაშინვე თავს იჩენს, თუ პოლიტიკოს ქალს ერთი შვილი ჰყავს მხოლოდ. ეს მოვლენა კავშირშია **მსხვერპლის დადანაშაულების** მოვლენასთან. ის ქალია, თან პოლიტიკოსი და ამასთანავე, ბევრი შვილი არ ჰყავს. აბა რას აკეთებდა აქამდე?

> *„მე მაგალითად, დისკრიმინაცია გამომიცდია ერთ შვილზეც, - ერთი შვილი რატომ გყავს, რატომ აღარ გათხოვდი, ეს სულ მესმის, მარტო იმისგან კი არა, მესმის ახლობლებისგან ხო, რომ შენ ერთი შვილი რომ გყავს, ესე იგი რაღაც ისა ხარ. ამიტომ, ესეთი რაღაცის ხაზგასმა, განსაკუთრებით სოციალურ სივრცეში, არის ძალიან ცუდი".*

ასევე, მნიშვნელოვანია პოლიტიკოსი ქალის ოჯახის წევრებით, კერძოდ შვილებით დაჩაგვრა. თუ შვილები კარგად არ იქცევიან, ყველაფერი პოლიტიკოსს ქალებს ბრალდებათ.

> *„ბავშვი ცუდად სწავლობს ქალის ბრალია, ყველაფერი ქალის ბრალია“.*

ხსენებული მოვლენა წარმოქმნის სოციალურ კონსტრუქტს: **„როგორ ვერ გაზარდე იდეალური შვილი“.**

> *„ესე იგი, შენი შვილი უნდა იყოს სრულყოფილი, რომ როგორღაც დაიცვა, პოლიტიკოსი ქალის შვილი... მე ახლა, კიდევ კაი... ჩემი შვილის მიმართ იყო რაღაცა მცდელობები, მაგრამ კიდევ ყველა მიხვდა, რომ არაფერი აზრი არ აქვს, იმდენად სრულყოფილია თავის საქმეში “.*

ინდიკატორი: ქალი პოლტიკოსის შვილოსნობის, ან მისი შვილის ქცევის ნებისმიერი ფორმით ხსენება, განსაკუთრებით, როდესაც მას ან საერთოდ არ ჰყავს შვილი, ან მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, ან მისი შვილი დევიანტურად იქცევა.

„კაცური“ ქცევის მქონე ქალი პოლიტიკოსის სიძულვილი

კაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ გინება, მარიხუანას საჯაროდ მოწევა, ქალებს კი ამის უფლება არ აქვთ. ისინი ამის გამო სიძულვილის ენის მსხვერპლნი ხდებიან. ეს მოვლენა „კაც პოლიტიკოსს ყველაფერი ეპატიება“ სერიიდან არის.

> *„ჯაფარიძე აკეთებს ასეთ კომენტარს ფეისბუქზე, რაღაც, რო დაეშვან მთაწმინდიდან, გამოექანონ, ყველა ხო ხვდება ეხლა რას ნიშნავს ეს ფრაზა და მთელი საქართველო აღტაცებულია ამით, რომ აი, რა მაგარია, შეუძლია. ბოდიში, ერთი ადგილი აქვს, გააკეთებს, ამას ვერ ვაკეთებთ ჩვენ ქალები. ანუ, მოლოდინი მე ხო ვიცი, როგორია საზოგადოების მხრიდან ჩემი და ამ მეთოდოლოგიით მე ვერ დავრაზმავ ხალხს, პრინციპში, პრაქტიკულად არ არსებობს საქართველოში ქალისთვის მეთოდოლოგია, რომელსაც ამას დაუპირისპირებ და შედიხარ თანაბარ ბრძოლაში“.*

თუ აღმოჩნდება, რომ კაც პოლიტიკოსს საყვარელი ყავს, ის გმირად, მაჩოდ და ნამდვილ კაცად ირაცხება, ხოლო ქალის შემთხვევაში, ეს მისი კარიერის დასრულებას ნიშნავს, ის ავტომატურად ხდება სექსისტური სიძულვილის ენის მსხვერპლი.

> *„რაღაცები, ხო შეფარულზეც ვილაპარაკეთ, მაგალითად, კაცის შემთხვევაში გაირკვა, რომ ცოლს ღალატობს და საყვარელი ყავს, რა. ეს საჯაროდ კი გაიკიცხება, მაგრამ სინამდვილეში ამ კაცს არაფერი არ აკლდება პირად საუბრებში. ოო, ყოჩაღ, როგორ მოახერხე ეს“.*

კაცს თუ ჰყოლია ოთხი ცოლი, ამის გამო მას არასერიოზულად არ უყურებენ, თუმცა, წარმოუდგენელია, ქალ პოლიტიკოსს გამოცდილი ჰქონდეს 4 ქორწინება.

> *„ერთი ჩვენი დეპუტატი, რომელსაც მეოთხე ცოლი ჰყავდა თუ რაღაც და მე რომ გავიგე, მესამე ცოლი რომ ყავდა, განვცვიფრდი, მე ვუთხარი, მესამე ცოლი... და კაცები როგორ იცი, მოწონების ხითხითი და სიცილი. აი, მე ვუთხარი, ეხლა რომ ქალს ეთქვა, რომ მესამე ქმარი ყავს, როგორ იქნებოდა თქვენი რეაქცია და კიდევ არ დამიწყოთ საუბარი გენდერულ თანასწორობაზე მეთქი. ეგ არის...“.*

წინასაარჩევნოდ ქალი პოლიტიკოსებისთვის თუკი რაიმე კაცური გენდერული როლის მიწერა მოხდება, ესეც ჩაითვლება სექსისტურ სიძულვილის ენად. ვთქვათ, „მწვადაობა“, დალევა, საყვარლები, ან ის, რომ ბევრი ქმარი ჰყავდა.

ისევე, როგორც პოლიტიკოსების, მედია და გენდერის ექსპერტების ჯგუფზეც გამომჟღავნდა კატეგორია **ყველაფერი კაცურის შესრულებაზე ზიზღი**, ექსპერტების ჯგუფშიც აღმოჩნდა, რომ ქართველ პოლიტიკოსს ქალებს არ პატიობენ არაფემინურობას, ახდენენ მათ „გაკაცებას“ და ბულინგს.

> *„ელენეს შემთხვევაში, აი, აქ მეც მქონდა ამოღებული, მაგალითად ამაშუკელის ციტატა არის ელენეზე: „სხვათა შორის, ძალიან დიდი ხანი მეგონა, რომ ელენე ხოშტარია ახალგაზრდა ბიჭი იყო, მაგრამ ბოლოს გოგო აღმოჩნდა, რაშიც ბოლომდე მაინც არ ვარ დარწმუნებული. მაგას სანამ კვერცხებში ფეხს არ ამოარტყამენ, არ გაჩერდება“.*

ნინო ბურჯანაძე, „ტუტცის“ მაგალითი:

> *„ასეთი რაღაც შემხვედრია, ბურჯანაძეზე იყო ხოლმე მაგალითად, ბურჯანაძის ერთ-ერთი... აღარ ვიცი, მემგონი აღარ იყენებენ ხო, თავის დროზე არსებობდა... ბურჯანაძე დემოკრატები რომ გაერთიანდნენ, სანამ ცხონებული ზურაბ ჟვანია ცოცხალი იყო, გაერთიანდნენ ტუტცი და შრეკი, - ასეთი სახელი ჰქონდათ, ასე ეძახდნენ ხოლმე“.*

ქალებს სექსისტური სიძულვილის ენა მიემართებათ მათი „კაცური“ გარეგნობის გამო.

> *„ძაან ხშირად შემხვედრია, რომ ვთქვათ, თინა ხიდაშელზე, იგივე ნინო ბურჯანაძეზე, კაცივით სახე აქვს და რაღაცა ძაან ასეთები. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ფემინურად რომ გამოიყურება მარტო მაგაზეა, მე ვიტყოდი, რომ ორივე შემთხვევა, თუ უნდათ სიძულვილის გადმონთხევა ასე ვთქვათ, ორივე შემთხვევაში იყენებენთქო“.*

ინდიკატორი: ქალი პოლტიკოსების „გაკაცების“ ნებისმიერი ფორმა (სვამს, ეწევა, საყვარლები ჰყავს, მეოთხედ იქორწინა, კაცურია, „ტუტცია“.)

„კაცის დანამატი“

ექსპერტების ჯგუფზე გამომჟღავნდა, რომ სექსისტური სიძულვილის ენის ერთ-ერთი სახეობაა ქალი პოლიტიკოსის, როგორც კაცის დანამატად დანახვა.

> *„ქალი პოლიტიკოსი, როგორც კაცის დანამატი ისე მოიხსენიება და ისევ და ისევ აი, ამ სუბიექტურობაზე უარს ეუბნებიან. მაგალითად, სანდრა რულოვსი, როცა იყრიდა კენჭს ზუგდიდში, პირდაპირ მას კი არ ესაუბრებოდნენ, სააკაშვილს ესაუბრებოდნენ. წინ ადამიანი ედგათ, მიმართავდნენ მის ქმარს. მას ფიგურად საერთოდ არ აღიქვამდნენ. ბურჯანაძე ახსენა ზვიადმა, ეს ფქვილოვნა მუდმივად სდევდა და ასევე, თაკო ჩარკვიანს სხვათაშორის, ხშირად ახსენებენ მამას, რომ მამამისის ქალიშვილია. ეს მამა, ქმარი, ესეთი კუთვნილებები კი, არი ხოლმე მნიშვნელოვანი. ვთქვათ, ესეც დასაკნინებლად სუბიექტურობის წართმევის ის არის რა“.*

პოლიტიკოსი ქალების „გათხოვებაზე“ ღლიცინი მიღებული სექსისტური სიძულვილის ენის მაგალითია ქართულ სივრცეში, რომელიც **ჰეტერონორმატიულ ოჯახზე ვარიაციების** კატეგორიაში თავსდება.

> *„შეიძლება ერთი რაღაც გამახსენდა იუმორის ჭრილში, რა თქმა უნდა: ბუში რომ იყო პრეზიდენტი, ღამის შოუს ასეთი ხუმრობა იყო, რომ რა საერთო აქვსო დავით გამყრელიძეს და ბუშსო და ისო, რომ ბუშმა კონდოლიზა რაიზი ვერ გაათხოვა და გამყრელიძემ კიდევ ფიქრია ჩიხრაძეო (იცინის). ანუ, ამაზე იცინოდნენ რა“.*

აქვე შემოდის **ე. წ. პატრონაჟის თემა,** რომ ქალი პოლიტიკაში თავისით კი არ მოვიდა, არამედ - ქმრის ინტერესების გამო. ასე იყო თინა ბოკუჩავას შემთხვევაში და ახლა უკვე, ქართული ოცნების რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატის შემთხვევაში.

> *„სხვათა შორის, ეს პატრონაჟის თემა წამოიწევა არამარტო იმ შემთხვევაში, როცა ვთქვათ, აესე გვერდზე კაცი, მამა ან ქმარი არის ცნობილი პიროვნება, არამედ - როდესაც ახლად შემოდის ქალი პოლიტიკაში. მაგალითად, ნინო ლაცაბიძე, რომელიც ახალი ფიგურაა, ქართული ოცნების მაჟორიტარი, მაშინვე მიაბეს მისი პიროვნება მის ქმარს და დააკავშირეს, რო შემოდის იმიტომ, რომ მის ქმარს არ ვიცი, რაღაცა მილიონები აშოვნინოს. მაშინვე ცდილობენ, რომ როგორღაც მიაბან...“*

ოჯახის თემით მანიპულაცია ნებისმიერ შემთხვევაში ითვლება სექსისტური სიძულვილის ენად.

> *„როდესაც პირველი თავისი კანდიდატების პრეზენტაციას აკეთებდა ბიძინა ივანიშვილი, ვინც კი გამოყავდა ქალი პოლიტიკოსი, ყველას*

> *ახასიათებდა, ან როგორც გამორჩეული ოჯახის ქალს და მის ოჯახზე საუბრობდა, ან ამბობდა, რომ მე ახლა, ეს არის გაუთხოვარი და აუცილებლად ნახე, ბედი გაეხსნებათ ადამიანებს. მახსენდება იგივე ანი მიროტაძის წარდგენა. მახსენდება ელისო ჩაფიძის წარდგენა. ძირითადად ამაზე უსვამდა ხაზს".*

ინდიკატორი: ქალი პოლიტიკოსის საქმიანობაზე საუბრის დროს მისი ქმრის და მამის პატრონად მოხსენიების ნებისმიერი მცდელობა.

„ფულზე გაყიდულობა"

აღნიშნული მოვლენა, შესაძლოა, დაუკავშირდეს კაც პოლიტიკოსებსაც, მაგრამ ვინაიდან კაცები პატრიარქალურ საზოგადოებაში მიიჩნევიან „სარჩოს მომპოვებლებად", მათ ფულის შოვნის ნებისმიერი გზა ეპატიებათ. „ფულზე გაყიდულის "კონსტრუქტი უფრო აზიანებს ქალ პოლიტიკოსებს. ამიტომ, ეს კონკრეტული მოვლენა რესპონდენტების მიერ მიჩნეულ იქნა სექსისტური სიძულვილის ენის ერთ-ერთ ფორმად.

> *„ჩემს გაზიარებულ ლინკს აზიარებს ტაბულა და აწერს, რომ ჩვენ მონები ვართ და მე მონა ვარ, იმიტომ რომ მივეყიდე, ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილს. თუნდაც კონკურენტი პარტიის ჟურნალისტებს უნდა ესმოდეთ, რამდენად შეიძლება ამან დააზიანოს კონკრეტული პოლიტიკური, როგორ გითხრათ, ქალი, როგორც პოლიტიკოსი, მის მიმართ წარმოშვას ზიზღის ტალღა".*

ეს მოვლენაც კავშირშია სლათ შეიმინგთან, ვინაიდან „ფულზე გაყიდულ" ქალზე, ქრისტიანულ პატრიარქალურ საზოგადოებებში კომერციული სექს მუშაკის (მეძავი ქალის) ასოციაცია მოდის. მსგავსი ასოციაციები ფულზე გაყიდულ კაცზე არავის უჩნდება. ამიტომ, მსგავსი წინადადებებით ქალი პოლიტიკოსის მოხსენიება წარმოადგენს სექსისტურ სიძულვილის ენას.

ინდიკატორი: ქალის მოხსენიება, როგორც ფულზე გაყიდულის ნებისმიერ კონტექსტში.

უმცირესობების უფლებების დამცველი ქალი პოლტიკოსების ჩაგვრა

მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ ცალკე მოვლენად, ცალკე სიძულვილის ენად, იმ პოლიტიკოსი ქალების მოხსენიება გამოიყო, რომლებიც უმცირესობების უფლებებს იცავენ, ან ემპათიას გამოხატავენ მათ მიმართ. ასეთ ქალებს ურტყამენ სექსუალობის (ვითომ ისინი ლესბოსელები არიან), ან ბანალური ქრისტიანული კლიშეებით, რომ ვითომ ქალი ეშმაკია და გარყვნილების სავანე.

> *„რა თქმა უნდა, ხათუნა სამნიძეც აქ არის და მე და ხათუნა სამნიძე ლესბოსელი წყვილი ვართ, იმიტომ რომ შეგვიძლია დავიცვათ lgbtq ადამიანები და ამაზე ძალიან ბევრი იწერება სოციალურ ქსელშიც და ა. შ. და ეს ვთქვათ, სატანური ღიმილი, წითელპომადიანი ქალები".*

ზოგჯერ, საჯაროდ ხდება მათ შვილებზე, ქმარსა და მშობლებზე თავდასხმა, რაც სექსისტური სიძულვილის ენის უკიდურეს ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.

> *„მაგალითად, გივი სიხარულიძე გამოვიდა ეთერში და ზუსტად ამ ნიშნით, რომ სექსუალური უმცირესობების ჯგუფს ვიცავდი, თქვა, რომ მაგის შვილები უნდა იყონ ასეთები (იცინის) და მერე უცებ მოიფიქრა, არა შვილებმა რა დააშავეს. მერე გადაწვდა ქმარს და შენ ქმარი რა ქმარი ხარ, მანახე ერთი შენი თავი, რა კაცი ხარ, ასეთი საშინელი ცოლი რომ გყავსო. მერე, იმავე ეთერში გადაწვდა მამაჩემსაც, ამისთანა კაცის შვილი და ა.შ. მაგრამ...“.*

ინდიკატორი: ქალ პოლიტიკოსებზე უმცირესობების უფლებების დაცვის გამო ნებისმიერი ნეგატიური, ჰომოფობიური კომენტარი, განსაკუთრებით, ამის ნიადაგზე მათ ოჯახსა და შვილებზე თავდასხმა.

„ცუდი ქართველობა“

გენდერის ექსპერტების ჯგუფში გამომჟღავნდა საინტერესო სოციალური კონსტრუქტი: „ცუდი ქართველი“, რომელიც ქალ პოლიტიკოსს მიემართება იმ შემთხვევაში, თუ ის ქართულად კარგად ვერ საუბრობს, ან არ ჩანს „პატრიოტად“. მსგავსი კონსტრუქტებით კაც პოლიტიკოსებსაც მოიხსენიებენ, მაგრამ, შესაძლოა, ეს უფრო მეტად აზიანებდეს ქალ პოლიტიკოსებს.

> *„ანუ, უფრო ხშირ შემთხვევაში, აქცენტირება ფიზიკურ მონაცემზე არ ხდებოდა, უფრო ხშირად იყო, რომ ქართული არ იცის საკმარისად. უფრო ხშირ შემთხვევაში ხდებოდა, რომ ვთქვათ, რანაირი ქართველია, გამართულად ვერ საუბრობს, ცხოვრების უმეტესი ნაწილი გატარებული აქვს საფრანგეთში და არ იცის ქართველობა.“*

ინდიკატორი: წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსი ქალის „ეროვნულობის“ დაწუნების ნებისმიერი ფორმა.

შეჯამება

ქალ პოლიტიკოსებთან, მედია და გენდერის ექსპერტებთან სამუშაო ფოკუს-ჯგუფებზე შეგროვებული პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის ნარატიული ანალიზის საშუალებით, შეიქმნა სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ფორმები, რომელთაგან ზოგიერთი დაემთხვა შესავალში გამოყოფილ ევროპულ ინდიკატორებს **(სლათ-შეიმინგი (ბოზობით შერცხვენა), სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება, სხეულით შერცხვენა (ხმის ტემბრი, ემოციური საუბარი), ეიჯიზმი, პოზიტიური სექსიზმი-ყალბი კომპლიმენტები, წახალისებული დანებება, შარჟი, ხუმრობები, ქორაობა),** ხოლო, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ქართული სივრცისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა **(გამოცდილებასა და პრინციპულობის ნაკლებობაზე მითითება, სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით, ქალის გენდერული როლი, საყვედურები ოჯახსა და დედობაზე, „კაცური“ ქცევის მქონე ქალი პოლიტიკოსის სიძულვილი, „კაცის დანამატი“, „ფულზე გაყიდულობა“, უმცირესობების უფლებების დამცველი ქალი პოლტიკოსების ჩაგვრა, „ცუდი ქართველობა“).** ინდიკატორებთან ერთად გამოყოფილ იქნა მათი შესატყვისი ქვეკატეგორიები (ზოგიერთ ფორმას არ აქვს ქვეკატეგორია) და შესაბამისი ინდიკატორები. ჯამში, შეიქმნა 18 სექსისტური სიძულვილის ენის ფორმა:

1. **Slut-shaming (ბოზობით შერცხვენა);**
2. **სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება;**
3. **სხეულით შერცხვენა;**
4. **ხმის ტემბრი;**
5. **ემოციური საუბარი;**
6. **ეიჯიზმი;**
7. **პოზიტიური სექსიზმი-ყალბი კომპლიმენტები;**
8. **დანებების წახალისება;**
9. **შარჟი, ხუმრობები, ქორაობა;**
10. **გამოცდილებასა და პრინციპულობის ნაკლებობაზე მითითება;**
11. **სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით;**
12. **ქალის გენდერული როლი;**
13. **საყვედურები ოჯახსა და დედობაზე;**
14. **„კაცური“ ქცევის მქონე ქალი პოლიტიკოსის სიძულვილი;**
15. **„კაცის დანამატი“;**
16. **„ფულზე გაყიდული“;**
17. **უმცირესობების უფლებების დამცველი ქალი პოლტიკოსების ჩაგვრა;**
18. **„ცუდი ქართველობა“.**

სიძულვილის ენის ფორმების, ქვეკატეგორიებისა და ინდიკატორების ცხრილი

#	სექსისტური სიძულვილის ენის ფორმები	ქვეკატეგორიები	ინდიკატორები
ევროპულთან თანხვედრაში მყოფი სექსისტური სიძულვილის ენის ფორმები და ინდიკატორები			
1	**Slut-shaming (ბოზობით შერცხვენა)**	ვინმეს ქალი (ნაცნობობით მოყვანილი, საყვარელი); მიშას ქალები; ხაზგასმულად ფემინურობა	კაცი პოლიტიკოსის საკუთრებად ქალი პოლიტიკოსის ნებისმიერი ფორმით მოხსენიება - რომელიმე კაცი პოლიტიკოსის გამო ქალი პოლიტიკოსების "პროსტიტუტებად" ("ვინმეს ქალი", "ვინმეს ნათესავი", "ვინმეს მეგობარი").
2	**სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება**	არ აქვს	ნებისმიერი სახის სექსუალური შინაარსის ფოტოს ან ვიდეოს გავრცელება პოლიტიკოსი ქალის თანხმობის გარეშე.
3	**სხეულის ნიადაგზე შერცხვენა**	სილამაზეზე ხაზგასმა, სიმახინჯეზე ხაზგასმა	ქალის სხეულის/სექსუალობის, პოზიტიურ, ნეგატიურ, ასაკობრივ, ხაზგასმულად ფემინური ჩაცმულობის, სილამაზის ნებისმიერი ფორმით ხსენება.
4	**ხმის ტემბრი**	არ აქვს	ქალი პოლიტიკოსის ხმის ტემბრზე ნებისმიერი სახის ქილიკი სოციალურ ქსელში.
5	**ემოციურ საუბარი**	არ აქვს	ქალი პოლიტიკოსის საუბრის მანერაზე ნებისმიერი სახის ქილიკი სოციალურ ქსელში.
6	**ეიჯიზმი**	ხანდაზმული (წადი სახლში შვილიშვილებთან); ახალგაზრდა (ნეპოტიზმით მოგიყვანეს, არ იმსახურებდი)	ქალი პოლიტიკოსის ასაკის ნებისმიერი ფორმით ხსენება (ახალგაზრდა, მოხუცი)
7	**პოზიტიური სექსიზმი/ყალბი კომპლიმენტები**	სილამაზის ხაზგასმა, თანამედროვე სექსიზმი (ირონიული დაცინვა პოლიტკორექტულობის ნიღბით, „წადი სახლში", „რა გინდა პოლიტიკაში").	ქალის სხეულის/სექსუალობის, პოზიტიურ, ნეგატიურ, ასაკობრივ, ხაზგასმულად ფემინური ჩაცმულობის, სილამაზის ნებისმიერი ფორმით ხსენება. ნებისმიერი სახის კომპლიმენტი, რომელიც სცილდება საქმეს და მიემართება ქალი პოლიტიკოსის ვიზუალსა და რეპრეზენტაციას.
8	**დანებების წახალისება**	არ აქვს	ნებისმიერი ფორმით ქალი პოლიტიკოსისთვის იმის თქმა, რომ წადი პოლიტიკიდან, რა გინდა აქ.
9	**შარჟი, ხუმრობები, ჭორაობა**	არ აქვს	ნებისმიერი სახის ჭორი, დაუზუსტებელი ინფორმაცია და ხუმრობა, რომელიც წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსს ქალებს მიემართებათ.

მხოლოდ ქართული სექსისტური სიძულვილის ენის ფორმები და ინდიკატორები			
1	**გამოცდილებასა და პრინციპულობის ნაკლებობაზე მითითება**	არ აქვს	ქალი პოლტიკოსის დაკავშირება გამოცდილებასა და პრინციპულობასთან ნებისმიერი ფორმით (შექება, საყვედური, დაწუნება).
2	**სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით**	„სად გყავს ქმარი/მამა?!“; „საერთოდ გყავს თუ არა ქმარი?!“; „ქმარმა ვერ გიპატრონა“; „საწყალი შენი ქმარი“; პატრონაჟი	ქალი პოლიტიკოსის საქმიანობაზე საუბრის დროს ქმრის, მამის და ვაჟიშვილების ნებისმიერი სახით ხსენება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქმრებს მოიხსენიებენ, როგორც საცოდავსა და უუნაროს.
3	**ქალის გენდერული როლი**	სახლის საქმე (კულინარია); დედობა და შვილოსნობა; მოქეიფე ქალი	ქალი პოლიტიკოსის დიასახლისად, კულინარად, ან კაცისთვის დადებითად განმტკიცებული ქცევებით მოხსენიების ნებისმიერი მცდელობა.
4	**საყვედურები ოჯახსა და დედობაზე**	როგორ ვერ გაზარდე იდეალური შვილი	ქალი პოლტიკოსის შვილოსნობის, ან მისი შვილის ქცევის ნებისმიერი ფორმით ხსენება, განსაკუთრებით, როდესაც მას ან საერთოდ არ ჰყავს შვილი, ან მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, ან მისი შვილი დევიანტურად იქცევა.
5	**„კაცური“ ქცევის მქონე ქალი პოლიტიკოსის სიძულვილი**	გინება; პლანის მოწევა; საყვარლები; პოლიგამია; ბიჭი; „ტუტცი“ კაცური გარეგნობა	ქალი პოლიტიკოსების „გაკაცების“ ნებისმიერი ფორმა (სვამს, ეწევა, საყვარლები ჰყავს, მეოთხედ იქორწინა, კაცურია, „ტუტცია“.)
6	**„კაცის დანამატი“**	არ აქვს	ქალი პოლიტიკოსის საქმიანობაზე საუბრის დროს მისი ქმრის და მამის პატრონად მოხსენიების ნებისმიერი მცდელობა.
7	**ფულზე „გაყიდულობა“**	არ აქვს	ქალის მოხსენიება, როგორც ფულზე გაყიდულის ნებისმიერ კონტექსტში.
8	**სექსუალური ან ეთნიკური უმცირესობების უფლებების დამცველი ქალი პოლტიკოსების ჩაგვრა**	არ აქვს	ქალ პოლიტიკოსებზე უმცირესობების უფლებების დაცვის გამო ნებისმიერი ნეგატიური, ჰომოფობიური კომენტარი, განსაკუთრებით, ამის ნიადაგზე მათ ოჯახსა და შვილებზე თავდასხმა.
9	**„ცუდი ქართველი“**	არ აქვს	წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსი ქალის „ეროვნულობის“ დაწუნების ნებისმიერი ფორმა.
ინდიკატორების ჯამური რიცხვი - 18			

ბიბლიოგრაფია:

1. თინა ზურაბიშვილი: „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, სოცილურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, თბილისი;
2. ე. აღდგომელაშვილი, მასალა სოციალური მედიის მკვლევართათვის, თბილისი, 2020;
3. W. Lawrence Neuman, Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches, Seventh Edition, Pearson Education Limited 2014;
4. H. Russell Bernard, Research Methods in Anthropology, Altamaria Press, New York, 2006;
5. B. Netkova, „Gender Based hate Speech or Sexist Hate Speech in North Macedonia“, 2020;
6. Richard A. Krueger, Mary Anne Casey, Focus Groups: A Practical Guide for Applied Research, sage publication inc, 2014.